პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 56

2018 წ. "29" 03

ქ. თბილისი

შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოსაზრებით ა(ა)იპ - მენეჯერთა სასწავლებელში დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-6, მე-7 და მე-8 მუხლი. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის მეშვიდე პუნქტის და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 400097658) გაუუქმდეს ავტორიზაცია.
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 29 მარტის №6 სხდომის ოქმის მერვე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ელგუჯა მელაძე

მდივანი
ანასტასია ქიტიაშვილი